

12852

02.08.17

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2017 წლის 05 ივნისის #64/15 გადაწყვეტილების შესაბამისად, წარმოგიდგენთ შპს „საფინანსო კომპანია საქართველო“-სთან დაკავშირებული საკითხის შესასწავლად შექმნილი მომხსენებელთა ჯგუფის მიერ შესწავლილ საკითხებს, დასკვნას და რეკომენდაციებს.

პატივისცემით,

მომხსენებელთა ჯგუფის მთავარი მომხსენებელი:

გურამ მაჭარაშვილი





შპს „საფინანსო კომპანია საქართველოსთან“ დაკავშირებული საკითხის შესასწავლად
შექმნილი მომხსენებელთა ჯგუფის მიერ მომზადებული

საანგარიშო დასკვნა და რეკომენდაციები

02 აგვისტო 2017 წელი

ქ.თბილისი

1. შესავალი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2017 წლის 05 ივნისის #64/15 გადაწყვეტილებისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 225-ე მუხლის თანახმად, სპს აკაკი ჩარგეიშვილის საადვოკატო დარბაზის ადვოკატის - აკაკი ჩარგეიშვილის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე შემოსული წერილის (#11598, 01.06.2017) საფუძველზე, შპს „საფინანსო კომპანია საქართველოსთან“ დაკავშირებული საკითხის შესასწავლად შეიქმნა მომხსენებელთა ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წევრთაგან შემდგომი შემადგენლობით: გურამ მაჭარაშვილი, ირაკლი (დაჩი) ბერაია, გოგა გულორდავა და სალომე ზურაბიშვილი.

შპს „საფინანსო კომპანია საქართველო“-ს საკითხთან დაკავშირებით და ადვოკატ აკაკი ჩარგეიშვილის #11598, 01.06.2017 წერილში გამოკვეთილია რამდენიმე პრობლემური სამართლებრივი თუ ფაქტობრივი საკითხი, რომელიც საჭიროებს კვლევას და შეფასებას.

საქართველოს პარლამენტის ბიუროს ამავე გადაწყვეტილებით მომხსენებელთა ჯგუფს დაევალა აღნიშნული საკითხის შესწავლა და სარეკომენდაციო დასკვნის წარდგენა საქართველოს პარლამენტის ბიუროსათვის.

მომხსენებელთა ჯგუფმა პირველივე სხდომაზე 2017 წლის 06 ივნისს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 225-ე მუხლის თანახმად ჯგუფის მთავარ მომხსენებლად აირჩია გურამ მაჭარაშვილი. მომხსენებელთა ჯგუფმა სამუშაო პროცესის მიმდინარეობის დროს ჯამში ჩაატარა 7 შეხვედრა. ჯგუფმა კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში შეისწავლა საკითხი, სხვადასხვა ფორმატში დაამყარა კომუნიკაცია საქართველოს ეროვნული ბანკის, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის და პროკურატურის წარმომადგენლებთან და მოისმინა მათი ახსნა-განმარტებები, რამდენჯერმე შეხვდა შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ დაზარალებულებს და მათი ინტერესების დამცველ ადვოკატებს, გამოითხოვა შესაბამისი დოკუმენტები საქართველოს ეროვნული ბანკიდან, პროკურატურიდან და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან.

კვლევის ფარგლებში კონფიდენციალური თუ სხვა სახის ინფორმაციებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, მომხსენებელთა ჯგუფმა დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2. დასკვნები ფაქტობრივი გარემოებების შესახებ

შპს „საფინანსო კომპანია საქართველო“, რომელიც საქართველოს მოქალაქე მერაბ ფერაძის ოჯახს ეკუთვნის 2008 -2016 წლებში ფიზიკური პირებისაგან ფულადი სახსრების მოზიდვით იყო დაკავებული.

სამეწარმეო რეესტრის მონაცემებით, ამ სახელწოდებით ორი ორგანიზაცია არსებობს: პირველი (ს/ნ: 206332191) რეგისტრირებულია 2008 წლის 20 ივნისს და მისი 100%-იანი წილის მფლობელი ლამარა ფერაძეა (მერაბ ფერაძის და). იგივე სახელწოდებით მეორე კომპანია (ს/კ: 433101895) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრირებულია 2013 წლის 14 აგვისტოს და მისი 100% წილის მფლობელი თამარ მეტრეველია (მერაბ ფერაძის მეუღლე). ორივე კომპანიის დირექტორს წარმოადგენს თამაზ ლომაჯანიძე. 2013 წელს დაარსებულმა იურიდიულმა პირმა ძველი კომპანიის პარალელურად გააგრძელა იგივე საქმიანობა.

კომპანია მომხმარებლების მოზიდვას ძირითადად ბაზრისათვის არაადეკვატური საპროცენტო განაკვეთების შეთავაზების გზით ახორციელებდა. მასმედიის სხვადასხვა საშუალებით ნაწარმოები აქტიური სარეკლამო კამპანიების შედეგად კომპანიამ მოსახლეობის ფართო ფენებიდან საკმაოდ სოლიდური რაოდენობისგან შეძლო ფინანსური სახსრების მოზიდვა და დაპირებული ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად სამუშაო ჯგუფის მიერ მოპოვებული ინფორმაციით დაზარალებულთა რიცხვმა 2016 წლამდე თითქმის 2 343-ს მიაღწია, ხოლო კომპანიის პირდაპირ თუ არაპირდაპირ საკუთრებაში არსებული აქტივების საერთო საბაზრო ღირებულება პროპორციულად ბევრად ნაკლებია დაზარალებულთა კომპანიის მიმართ არსებულ მოთხოვნებთან შედარებით. შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ მიერ ფიზიკური პირებისგან მოზიდულ თანხებზე სარგებლის სახით პროცენტისა და ძირითადი თანხის გადახდა ხდებოდა ფიზიკური პირებისგან ყოველ მომდევნო პერიოდში მოზიდული თანხებით. შესაბამისად, კომპანია ფულადი სახსრების დაბანდების არსებული პრინციპით და არსებული შემოსავლებით ვერ შეძლებდა მოქალაქეთა წინაშე ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, რაც მიუთითებს, რომ სუბიექტის საქმიანობის მიზანს წარმოადგენდა არა კეთილსინდისიერი სამეწარმეო საქმიანობა, არამედ მომხმარებელთა სახსრების მითვისება.

შპს „საფინანსო კომპანია საქართველო“ საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში - სეზ) ყურადღების ქვეშ მოექცა მას შემდეგ, რაც მასმედიის სხვადასხვა საშუალებებით დაიწყო აქტიური სარეკლამო კამპანია ფიზიკური პირებისაგან სახსრების მოზიდვის მიზნით (2012 წელი). გამომდინარე იქიდან, რომ ბაზარზე არსებულთან შედარებით გაცილებით მაღალი საპროცენტო განაკვეთით მოზიდული სახსრების გასტუმრება ნორმალური საბაზრო ურთიერთობის ფარგლებში რთულია, საქართველოს ეროვნულ ბანკს გაუჩნდა ეჭვი - ალბათობის მაღალი ხარისხით, რომ კომპანიის საქმიანობაში შეიძლება ადგილი ჰქონოდა დანაშაულის ნიშნებს, რის გამოც არაერთხელ მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს. პირველი მიმართვა განახორციელა 2012 წლის 29 ნოემბერს საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ, ხოლო შემდგომ 2014 წლის 25 ნოემბერს - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო

სამსახურისადმი და მთავარი პროკურატურისადმი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისგან საპასუხო წერილი ეროვნულმა ბანკმა მიიღო 2015 წლის 28 იანვარს.

აღსანიშნავია, რომ 2013-2015 წლის განმავლობაში სებ-მა კომპანიას რამდენჯერმე მოსთხოვა პირთა ფართო მასებიდან სახსრების მოზიდვის რეკლამირების შეწყვეტა, რასაც კომპანია ითვალისწინებდა და მოთხოვნისთანავე წყვეტდა რეკლამირების პროცესს. 2016 წლის დასაწყისიდან კი კომპანია განსაკუთრებით გააქტიურდა პირთა ფართო მასებიდან სახსრების მოზიდვის რეკლამირების თვალსაზრისით და არ დაემორჩილა სებ-ის ზეპირსიტყვიერ მოთხოვნას, რის შემდეგაც 2016 წლის აპრილში სებ-მა შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ წერილობით მოსთხოვა ფართო მასებიდან სახსრების მოზიდვის ყველა სახის სარეკლამო კამპანიის შეწყვეტა და ბიზნეს მოდელის შეცვლა. ამასთან, კომპანიას მიეცა გაფრთხილება, რომ ეროვნული ბანკის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 48¹ მუხლის შესაბამისად, მოხდებოდა კომპანიის კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად აღიარება, რაც მისთვის სხვადასხვა მოთხოვნისა თუ შეზღუდვის დაწესების წინაპირობა იქნებოდა, მათ შორის სახსრების მოზიდვის კუთხითაც, თუმცა 2016 წელს კომპანიამ უკვე აღარ გაითვალისწინა სებ-ის მოთხოვნა რეკლამირების შეწყვეტის თაობაზე. წერილობითი მოთხოვნების ადრესატი ძირითადად იყო 206332191 ს/კ-ის მქონე კომპანია.

შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ მენეჯმენტმა არ გაითვალისწინა სებ-ის გაფრთხილება. აღნიშნული ფაქტი ზრდიდა სახსრების მოზიდვის კუთხით სხვა არარეგულირებადი სუბიექტების გააქტიურების რისკს, რომლის სავარაუდო შედეგი რეგულირებადი სუბიექტებიდან არარეგულირებად სექტორში თანხების გადინება იქნებოდა, რასაც შეიძლება საფრთხე შეექმნა საფინანსო სექტორის სტაბილურობისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2016 წლის 19 სექტემბერის #927-1კ განკარგულებით შპს „საფინანსო კომპანია საქართველო“ (ს/კ: 206332191) აღიარებულ იქნა კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად, ხოლო სებ-ის ვიცე-პრეზიდენტის 2016 წლის 20 სექტემბერის განკარგულებით #931-1კ შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ აეკრძალა სახსრების მოზიდვა და საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სახის სარეკლამო კამპანიის წარმოება.

მოგვიანებით, სებ-თვის ცნობილი გახდა, რომ ზემოაღნიშნული იურიდიული პირის ფაქტობრივ მისამართზე ფულად სახსრებს იზიდავდა „საფინანსო კომპანია საქართველო“ (ს/კ: 433101895) იმავე მენეჯმენტის შემადგენლობით. აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობა სამართალდამცავ ორგანოებს. 2016 წლის 04 ნოემბრის სებ-ის ვიცე-პრეზიდენტის განკარგულებით #995-1კ კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად აღიარებულ იქნა ამავე სახელწოდების მქონე მეორე

ორგანიზაცია საიდენტიფიკაციო ნორმით: 433101895. სეზ-ის არაერთი მცდელობის მიუხედავად მხარემ აღნიშნული აქტი არ ჩაიბარა, რის გამოც, დოკუმენტი კანონმდებლობის შესაბამისად, ძალაში შევიდა 29 ნოემბერს, მისი „საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნების საფუძველზე.

2016 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. საქმე ჯერ კიდევ სასამართლო განხილვის პროცესშია.

სამუშაო ჯგუფის მიერ მოპოვებული ინფორმაციის შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ორივე საწარმოს შემთხვევაში მოსახლეობის ფართო მასებიდან მოზიდული თანხები არ იყო გამიზნული საწარმოს მოგებისა და მეანაბრეთა წინაშე არსებული ვალდებულებების შესასრულებლად. ასევე მოპოვებული ინფორმაციით სავარაუდოა, რომ აღნიშნულ თანხებს ეუფლებოდა მერაბ ფერაძე. კერძოდ, მას საწარმოდან სესხის ხელშეკრულებით წლიური 45% სარგებლის სანაცვლოდ გაჰქონდა თანხები, რასაც უკან აღარ აბრუნებდა. ამ გზით დაუფლებული თანხებისთვის კანონიერი სახის მიცემის მიზნით ის თავისი და ნათესავების სახელზე ყიდულობდა უძრავ ქონებას და ასევე აბანდებდა სხვადასხვა სახის ბიზნესში.

3. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ ზედამხედველობის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შეფასება

საფინანსო სექტორის სწრაფი ზრდა და მუდმივად განახლებადი ფინანსური ინსტრუმენტების გამოჩენა ბაზარზე იწვევს ამ სეგმენტის რისკების ზრდას, რაც თავის მხრივ, მოითხოვს შესაბამის რეგულატორულ ჩარევას და რისკების პრევენციას. ამ კუთხით, საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა საფინანსო სისტემის სტაბილურობა და ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა. საფინანსო სექტორის ფინანსური მდგრადობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობისთვის, საფინანსო სექტორის მომხმარებელთა და წარმომადგენლების უფლებების დაცვის მიზნით ეროვნული ბანკი აღჭურვილია საზედამხედველო ფუნქციებით და ორგანული კანონით გათვალისწინებული მთელი რიგი ფუნქცია-მოვალეობების შესრულებით ევალება საფინანსო სექტორის ზედამხედველობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, შეფასდეს საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც საფინანსო სექტორის ზედამხედველის და რეგულატორის, საფინანსო სექტორის ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობის მიზნით გატარებული ღონისძიებების ეფექტურობა და ჩარევის აუცილებლობის საკითხი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ აეკრძალა ფულადი სახსრების მოზიდვა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სახის სარეკლამო

კამპანიის წარმოება აუცილებლობით იყო განპირობებული, რადგან აღნიშნული საქმის არსებობით (ე.წ. პირამიდა) დროის გახანგრძლივებასთან ერთად მატულობდა პირთა ფართო წრიდან სახსრების მოზიდვის რეკლამირების თვალსაზრისით არარეგულირებადი სექტორის გააქტიურების რისკი, რასაც შეიძლება გამოეწვია რეგულირებადი სექტორიდან არარეგულირებად სექტორში თანხების გადინება. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ე.წ. პირამიდული სქემების არსებობა იწვევს პოტენციურ დაზარალებულთა ოდენობის და ფინანსური ზიანის მოცულობის გაზრდის რისკს.

საქართველოს ეროვნული ბანკის წარმომადგენლების მიერ დაფიქსირებული პოზიციით, პირამიდული სქემების კრიმინალიზაციის დისპოზიციონირების (განსაზღვრის) გაუმჯობესების მიზნით 2013-2015 წლებში სეზ-მა საქართველოს მთავრობას რამდენჯერმე წარუდგინა (პირველად ოფიციალურად 2013 წლის 23 მარტს) პროექტი სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა პირამიდის კრიმინალიზაციას პირამიდული სქემების შექმნის და ფუნქციონირების დაწყების მომენტიდანვე. აღნიშნულ პერიოდში ზემოხსნეული კანონპროექტის საქართველოს პარლამენტში ინიცირება არ განხორციელებულა, თუმცა მთავრობის მიერ აღნიშნული კანონპროექტის სახეცვლილი ფორმის პარლამენტში ინიცირება მოხდა 2017 წლის მაისში.

სეზ-ის მიერ სამუშაო ჯგუფისადმი მოწოდებული კორესპონდენციის ანალიზით დგინდება, რომ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ საქმიანობის სფერო „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 48¹ მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებულ ჩარჩოებში ექცეოდა, საქართველოს ეროვნულ ბანკს 2012 წლიდან გააჩნდა და ეს ორგანიზაცია ეროვნული ბანკის ყურადღების ქვეშ მოექცა მას შემდეგ, რაც მასმედიის სხვადასხვა საშუალებებით დაიწყო აქტიური სარეკლამო კამპანია ფიზიკური პირებისგან სახსრების მოზიდვის მიზნით. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია კლიენტებს ბაზარზე არსებულთან შედარებით გაცილებით მაღალ საპროცენტო განაკვეთებს სთავაზობდა, ეროვნულ ბანკს გაუჩნდა საფუძლიანი ეჭვი კომპანიის საქმიანობაში შესაძლო დანაშაულის ნიშნების არსებობის შესახებ, რის გამოც 2012 წლის ნოემბერში მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს და 2013 წელსვე გაავრცელა განცხადება საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე, არარეგულირებადი ორგანიზაციების მიერ ფართო მასებიდან სახსრების მოზიდვასთან დაკავშირებული შესაძლო რისკების პრევენციის მიზნით.

„ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 48¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით ორგანიზაციის კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად აღიარება დამოკიდებულია გარკვეულ ობიექტურ წინაპირობებზე. კერძოდ, ორგანიზაცია სახსრებს უნდა იზიდავდეს 400-ზე მეტი ფიზიკური პირისგან ან ფიზიკური პირებისაგან მოზიდული სახსრების ოდენობა ხუთ მილიონ ლარს უნდა

აღმატებოდეს. ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში ასეთი ორგანიზაცია ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია ეროვნულ ბანკში და დააკმაყოფილოს ეროვნული ბანკის მიერ აღნიშნული ინსტიტუტისადმი დადგენილი მოთხოვნები.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილი იძლევა შესაძლებლობას, რომ ზემოხსენებული ობიექტური საფუძლის არარსებობის პირობებშიც მოხდეს იურიდიული პირის აღიარება კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად თუ ეროვნული ბანკი მიიჩნევს, რომ ამ იურიდიული პირის საქმიანობა საფრთხეს უქმნის საფინანსო სექტორის სტაბილურობას. ამასთან, 48¹ მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად ეროვნული ბანკი უფლებამოსილია აღიარებულ კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტს, რომელიც აღიარების შემდგომ უკვე არის საფინანსო სექტორის წარმომადგენელი, მოსთხოვოს სახსრების მოზიდვასთან და სესხების გაცემასთან დაკავშირებული საქმიანობის შეწყვეტა, თუ კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის საქმიანობა საფრთხეს უქმნის ფიზიკური პირებისაგან მოზიდულ სახსრებს. საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე ეროვნული ბანკის მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტს დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

შპს „საფინანსო კომპანია საქართველო“ წარმოადგენდა არარეგულირებად იურიდიულ პირს, რომლის საქმიანობაც ეხებოდა მეტად მნიშვნელოვან და სენსიტიურ სფეროს, როგორიცაა ფიზიკური პირების სოლიდური ოდენობიდან სახსრების მოზიდვა. ფინანსური ბაზრის მონაწილეთა ამგვარმა ეკონომიკურმა საქმიანობამ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ფინანსური სექტორის სტაბილურობაზეც, თუ არსებობს გარკვეული ურთიერთპროპორცია საფინანსო სექტორის მთლიან მოცულობასა და კონკრეტული კომპანიის მიერ მოზიდულ სახსრებს შორის და ამავდროულად, აღნიშნული კომპანიის ფინანსური სირთულეები ჯაჭვური რეაქციით შეიძლება გადაეცეს საფინანსო სექტორის სხვა წარმომადგენლებს. საფუძვლიანი ეჭვი კომპანიის მენეჯმენტის შესაძლო დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ, რომელიც ეროვნულ ბანკს 2012 წელს გაუჩნდა, საბოლოოდ გამართლდა. აღნიშნული ეჭვის საფუძველზე ეროვნულმა ბანკმა 2012 წლის 29 ნოემბერს მიმართა საგამომიებო სტრუქტურებს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შემოწმების თაობაზე და მის საქმიანობაში შესაძლო დანაშაულის ნიშნების არსებობის ფაქტის შესწავლის მიზნით.

შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ სარეკლამო კამპანია გაფართოვდა 2012 წლის შემდგომ პერიოდში, რამაც ასევე უფრო გაზარდა მოზიდული ფულადი სახსრების ოდენობა და პირთა წრე. ამასთან, 2016 წელს შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ მიერ პირთა ფართო მასებიდან სახსრების მოზიდვის სარეკლამო კამპანიის განახლებამ წარმოშვა აღნიშნული მიმართულებით არარეგულირებადი სუბიექტების (იმ სუბიექტების, რომელთაც სახსრების მოზიდვის რეკლამირება შეწყვიტეს სებ-ის

მოთხოვნის საფუძველზე) გააქტიურების რისკი, რასაც ასეთი მაშტაბური ხასიათის მიღების შემთხვევაში შეიძლება გამოეწვია რეგულირებადი ფინანსური სექტორიდან სახსრების არარეგულირებად სექტორში გადინება, რითაც შეიძლება საფრთხე შექმნოდა საფინანსო სექტორის სტაბილურობას. 2016 წლის აპრილში სებ-მა წერილობითი მიმართვა გააგზავნა შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ (ს/კ:206332191) სახელზე საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით ბიზნეს მოდელის შეცვლის თაობაზე. სამუშაო ჯგუფის მიერ მოპოვებული ინფორმაციის შესაბამისად სებ-სა და შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ წარმომადგენლებს შორის არსებობდა კომუნიკაცია, რომლის დროსაც სებ-ის მხრიდან არაერთი განმარტება მიეცა ადრესატს სარეკლამო კამპანიით კლიენტების მოზიდვის შეწყვეტის შესახებ, თუმცა უშედეგოდ.

სამუშაო ჯგუფის მუშაობის პროცესში ეროვნული ბანკის წარმომადგენლების მიერ დაფიქსირებული პოზიციით, უკვე 2016 წელს კომპანიის კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად აღიარების ძირითადი მიზეზი ასევე იყო ის ფაქტიც, რომ კომპანიის მენეჯმენტთან კომუნიკაციამ არ გამოიღო რეალური შედეგი და სებ-ის მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობა ზრდიდა რეგულირებადი სექტორიდან არარეგულირებად სექტორში თანხების გადინებისა და საფინანსო სექტორის სტაბილურობაზე უარყოფით გავლენის მოხდენის რისკს.

დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების უფლება ავალდებულებს შესაბამის ორგანოს საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისად რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები.

ლოგიკურია, რომ სამართლის ნორმის შემფარდებელ უფლებამოსილ ორგანოს კანონმდებელი ანიჭებს უფლებას, აირჩიოს შესაბამისი სამართლებრივი შედეგი. თუმცა, ის, პირველ რიგში, კონკრეტულ შემთხვევაში სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას ისახავს მიზნად და გულისხმობს კანონის ნორმის მიზნებისა და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით კონკრეტული შემთხვევისათვის სათანადო გადაწყვეტილების მიღების ვალდებულებას. დისკრეციული უფლებამოსილების და შეფასების თავისუფლება ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის განუყოფელი ცნებებია, რაც განპირობებულია მოსაზრებით, რომ კანონმდებელს არ შეუძლია განსაზღვროს თითოეული კონკრეტული შემთხვევის სამართლებრივი შედეგი.

ეროვნული ბანკის არგუმენტაცია მიღებული გადაწყვეტილების დროულობის შესახებ ეფუძნება ეროვნული ბანკის მანდატს - უზრუნველყოს საფინანსო სექტორის სტაბილურობა და „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 48¹ მუხლის განმარტებას, რომლის მიხედვითაც კანონმდებლობა ეროვნულ ბანკს

პირდაპირ არ განუსაზღვრავს იურიდიული პირის კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად აღიარების ვალდებულებას, არამედ ანიჭებს აღნიშნული პირის კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად აღიარების დისკრეციულ უფლებამოსილებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია დისკრეციული უფლებამოსილების დეფინიცია, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

ლოგიკურია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების დროს და ნორმაშეფარდებითი საქმიანობის განხორციელებისას, დაიცვას გონივრული ბალანსი საჯარო და კერძო ინტერესებს შორის. სხვა შემთხვევაში, ამ ვალდებულების იგნორირება შესაძლოა წარმოადგენდეს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში შეცდომის დადგენის საფუძველს.

2012 წლის 07 მაისის ოქმი N 244, საქართველოს კანონპროექტზე „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზები: „კანონპროექტის მიღება განპირობებულია საფინანსო სექტორის რეგულირების გაძლიერების აუცილებლობით“.

მოქმედი კანონმდებლობით იურიდიული პირები საფინანსო სექტორისაგან განსხვავებით არ წარმოადგენენ ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სუბიექტებს, თუმცა კანონმდებლობით არსებობს ეროვნული ბანკისთვის არარეგულირებად ინსტიტუტზე ზედამხედველობის სამართლებრივი ბერკეტი და მისი გამოყენების ცალსახა მიზანი არის საფინანსო სექტორის სტაბილურობის ხელშეწყობის უზრუნველყოფა, რაც უკვე 2016 წლის სექტემბერ და ნოემბრის თვეებში განხორციელა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა.

საგულისხმოა, რომ დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება არ გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის სრული თავისუფლების მინიჭებას. ის აკისრებს გარკვეულ ვალდებულებით უფლებამოსილებასაც, მის ხელთ არსებული რამდენიმე საშუალებიდან გამოიყენოს ყველაზე მისაღები და ადეკვატური საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე. როდესაც ადმინისტრაციული ორგანო არ ითვალისწინებს დისკრეციის დამდგენი ნორმის მიზანსა და ფარგლებს ან საერთოდ არ იყენებს აღნიშნულ უფლებამოსილებას, ან არ იყენებს მისთვის მინიჭებულ

დისკრეციულ უფლებამოსილებას, შედეგად შესაძლოა მივიღოთ შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის პოზიციით, 2016 წელს კომპანიის კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად აღიარების ძირითადი მიზეზი იყო არა მოზიდული სახსრების ან/და კლიენტების მზარდი რაოდენობა, არამედ ის ფაქტი, რომ კომპანიის მენეჯმენტთან კომუნიკაციამ არ გამოიღო რეალური შედეგი და სეზ-ის მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობა ზრდიდა რეგულირებადი სექტორიდან არარეგულირებად სექტორში თანხების გადინებისა და საფინანსო სექტორის სტაბილურობაზე უარყოფით გავლენის მოხდენის რისკს.

შპს „საფინანსო კომპანია საქართველო“ წარმოადგენდა არარეგულირებად იურიდიულ პირს, რომლის საქმიანობაც ეხებოდა მეტად მნიშვნელოვანი და სენსიტიური სფეროს, როგორცაა ფიზიკური პირებიდან (მოსახლეობის ფართო ფენები) სოლიდური ოდენობით სახსრების მოზიდვა. ფინანსური ბაზრის ამგვარმა ეკონომიკურმა საქმიანობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ფინანსური სექტორის სტაბილურობაზეც, თუ არსებობს გარკვეული ურთიერთპროპორცია საფინანსო სექტორის მთლიან მოცულობასა და კონკრეტული კომპანიის მიერ მოზიდულ სახსრებს შორის და ამავდროულად, აღნიშნული კომპანიის ფინანსური სირთულეები ჯაჭვური რეაქციით შეიძლება გადაეცეს საფინანსო სექტორის სხვა წარმომადგენლებს. ექვი (დასაბუთებული ვარაუდი) კომპანიის მენეჯმენტის შესაძლო დანაშაულებრივი სქემის შესახებ, რომელიც ეროვნულ ბანკს 2012 წელს გაუჩნდა, საბოლოოდ გამართლდა. პირველად ექვის (დასაბუთებული ვარაუდის არსებობა) საფუძველზე ეროვნულმა ბანკმა 2012 წლის 29 ნოემბერს მიმართა საგამოძიებო სტრუქტურებს კომპანიის საქმიანობაში შესაძლო დანაშაულის ნიშნების არსებობის და კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შემოწმების შესახებ, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს ეროვნული ბანკის მიერ აღნიშნული კომპანიის დაინტერესების შესახებ, მით უფრო, რომ ამ პერიოდში უკვე არსებობს კონკრეტული რეგულატორული აქტი, რომელსაც დაცვითი ფუნქცია გააჩნია საფინანსო სექტორის მომხმარებელთა მიმართ.

ჩვენთვის ჯერ კიდევ დაუზუსტებელია ზუსტი ფინანსური ციფრები, თუ რა მოცულობის თანხები იქნა მიღებული თვითთელი მეანაბრისაგან და რა რაოდენობის თანხები გაიცა მათზე, როგორც დარიცხული პროცენტის ასევე ძირითადი თანხის ნაწილში. ცნობილია, რომ დაუზუსტებელი მონაცემებით, თანხების საერთო რაოდენობა აღემატება ათეულობით მილიონ ლარს. დაზარალებულთა პოზიციით დასაზუსტებელია ასევე დაზარალებულ ფიზიკურ პირთა რაოდენობა, თუმცა სამუშაო ჯგუფის მიერ მოპოვებული ინფორმაციით დაზარალებულთა რაოდენობა არის 2343. ცალსახაა, რომ 2012 წლიდან ნაწარმოები აქტიური სარეკლამო კამპანიის

ფარგლებში კომპანიამ შეძლო მოსახლეობის მაღალი ნდობის მოპოვება, რის გამოც მოზიდული ფიზიკურ პირთა წრე სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2012 წლის 25 მაისს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონის 48¹ მუხლში კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის ცნების შემოღებით კანონმდებელი მიზნად ისახავდა საფინანსო სექტორის მომხმარებლების უფლებების დაცვას და ისეთი იურიდიული პირების მოქცევას რეგულირების ქვეშ, რომლებიც საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ეწევიან ფინანსური ინსტიტუტისათვის დამახიასიათებელ საქმიანობას და, შესაბამისად, კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად აღიარებული კომპანიებისათვის რეგულირების ჩარჩოს განსაზღვრას. მოსახლეობის ფართო მასების ეკონომიკური ურთიერთობა არარეგულირებად კომპანიასთან უკავშირდებოდა მატერიალური რესურსის ფორმირებას და ფიზიკური პირებისგან ფულადი სახსრების მოზიდვას და თუ კომპანიის მსგავსმა საქმიანობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას საფინანსო სექტორის სტაბილურობას და საფინანსო სექტორის მომხმარებლების უფლებებს, აღნიშნული უკვე არსობრივად თანაზომიერია რეგულატორული აქტის მიზნებთან და ღირებულებებთან, ეს კი აჩენს მაღალი ხარისხის ინტერესს „საქართველოს ეროვნული ბანკის“ შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 48¹ მუხლით გათვალისწინებული დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების მართლზომიერებასთან დაკავშირებით.

დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისას არსებითი ურთიერთკავშირი არსებობს მარეგულირებელი ნორმის მიზანსა და კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების სწორად შეფასებას შორის, რომელიც, თავის მხრივ, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას შეცდომის გამორიცხვის საწინდარია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საფინანსო სექტორის ზედამხედველობის ნორმებით მოწესრიგებული სამართლებრივი სფერო აღნიშნული სექტორის მომხმარებელთა უფლებებს და ფინანსურ სტაბილურობას ეხება. სწორედ ამ ნორმის მიზნის და ფაქტობრივი გარემოების სწორად შეფასების დროს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების ვალდებულება და არგამოყენების შედეგად დამდგარი უარყოფითი შედეგების შეფარდება წარმოადგენს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას შესაძლო დაშვებული შეცდომის კვალიფიკაციის საფუძველს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იქნა მიღებული „საფინანსო კომპანია საქართველოს“ საქმიანობის შეზღუდვის გადაწყვეტილება.

4. სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტურობა

სამართალდამცავ უწყებებს 2012-2014 წლებში საქართველოს ეროვნული ბანკიდან გაეგზავნათ ინფორმაცია შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ საქმიანობის შესახებ. მიღებული ინფორმაციების რეაგირების შესახებ საქართველოს ეროვნულ ბანკს პასუხი ეცნობა 2015 წლის იანვარში. აღნიშნულზე სისხლის სამართლებრივი საქმის წარმოება მათ მიერ 2016 წლის ბოლოს დაიწყო, მერაბ ფერაძის და სხვა პირთა მიმართ, რაც ჯერ კიდევ არ დასრულებულა. ფიზიკური პირებისგან მოზიდულ თანხებზე სარგებლის სახით პროცენტისა და სესხის ძირითადი თანხის გადახდა ძირითადად ხდებოდა ფიზიკური პირებისგან ყოველ მომდევნო პერიოდში მოზიდული თანხებით. ამ შემთხვევაში მხარეებს შორის კერძო ავტონომიის ფარგლებში იდებოდა სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებები ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენის შედეგად. მოსახლეობის ფართო მასების ნდობა და მომხიბვლელი პირობები განაპირობებდა დაინტერესებული პირთა წრის სწარ ზრდას. საგულისხმოა ის გარემოება, რომ კომპანიას არ გააჩნდა მოზიდული სახსრების რეალურ ეკონომიკაში დაბანდების გეგმა, მიღებული სახსრების ხარჯვას არ ჰქონდა თანმიმდევრული და გეგმიური ხასიათი, რაც თავიდანვე აჩენდა სავარაუდო დანაშაულებრივი საქმის სუბიექტური შემადგენლობის ნიშნებს. ამ ვითარებაში უკიდურესად რთულია თქმა, სათანადო შემოწმების შემთხვევაში, იყო თუ არა 2012 წელსვე დადგენადი, რომ კომპანია ფულადი სახსრების დაბანდების არსებული პრინციპით და არსებული შემოსავლებით ვერ შეძლებდა მოქალაქეთა წინაშე ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, რაც სუბიექტის არაკეთილსინდისიერი და დანაშაულებრივი სამეწარმეო საქმიანობის განხორავაზე მიუთითებდა.

5. შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ მიერ დადებული ხელშეკრულებების სამართლებრივი კვალიფიკაცია

სასესხო ურთიერთობის ზოგადი ნორმა გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლში. სესხის საგნის თავისებურება/მოხმარებადობა განაპირობებს მსესხებლის უფლებამოსილებას, განკარგოს მიზნობრივად ნასესხები გვაროვნული საგნები. სესხის ხელშეკრულების მიზანია სესხის საგნით დროებითი მიზნობრივი სარგებლობა მათი დაბრუნების ვალდებულებით, მხარეთა შეთანხმებით სესხისთვის შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროცენტიც, რაც იმას გულისხმობს, რომ სესხი დეპოზიტის/ანაბარისაგან განსხვავებით შეიძლება იყოს სასყიდლიანი ან უსაყიდლო, ხოლო დეპოზიტი/ანაბარი ყოველთვის არის სასყიდლიანი ანუ მისი ბუნება მუდმივად გულისხმობს მასზე სარგებლის დარიცხვის არსებობას.

რაც შეეხება ანაბრის (დეპოზიტის) ცნებას, აღნიშნულის რეგულირების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 874-ე მუხლი. აღნიშნული მუხლი ადგენს ანაბრის (დეპოზიტის), როგორც საკრედიტო დაწესებულებასა და მეანაბრეს შორის დადებულ ხელშეკრულების სამართლებრივ დეფინიციას. „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნტთან ერთად, რომლის მიხედვით, დეპოზიტი არის კომერციული ბანკში ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებაში პირის მიერ შეტანილი ფულადი სახსრები ან გადახდის სხვა საშუალებები, რომლებზედაც საკუთრების უფლებას იძენს კომერციული ბანკი ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება. მნიშვნელოვანია სესხისა და ანაბრის ხელშეკრულების გამიჯვნა ერთმანეთისგან, რადგან ხშირად ანაბარს განიხილავენ სასესხო ურთიერთობად, როცა ინიციატივა თანხის მოზიდვის თაობაზე მოდის საკრედიტო დაწესებულებისგან. საანაბრე ურთიერთობებში მეტად მნიშვნელოვანია მომხარებელთა უფლებების დაცვის საკითხი. შესაბამისად, საფინანსო სექტორის სამომხმარებლო ბაზარზე მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნითა და პოტენციური რისკების შემცირების მიზნით საანაბრო ურთიერთობის მხარე კომერციული ბანკი ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება უნდა იყოს. განსხვავებით სესხის ხელშეკრულებისგან, ანაბრის ხელშეკრულების დასადასტურებლად აუცილებელია საბანკო ლიცენზია. ამასთან, ანაბრის ხელშეკრულების დადების მიზანი არის საკრედიტო დაწესებულებისთვის მეანაბრის თავისუფალი ფულადი სახსრების მოზიდვა კომერციული ოპერაციების წარმოებისთვის, მეანაბრისათვის კი თავისი კაპიტალიდან პროცენტის მიღება. საბანკო დაწესებულება თანხების თავისუფალი განკარგვის უფლების მიღების სანაცვლოდ კლიენტს უხდის პროცენტს ანაბარზე და როგორც ვადას, ისე მოთხოვნამდე ანაბარს არიცხავს პროცენტს.

საპარლამენტო მომხსენებელთა ჯგუფის მიერ მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად უპირატესად შეიძლება დადგინდეს, რომ შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ ფიზიკური პირებისგან მოზიდულ თანხებზე სარგებლის სახით პროცენტისა და სესხის ძირითადი თანხის გადახდა ძირითადად ხდებოდა ფიზიკური პირებისგან ყოველ მომდევნო პერიოდში მოზიდული თანხებით, ანუ მოზიდულ თანხებს იყენებდა ე.წ. კომერციული ოპერაციების წარმოებისთვის, რაც ხელშეკრულების დეპოზიტთან მსგავსების უმეტეს ნიშნებს გამოკვეთს. შპს „საფინანსო კომპანია საქართველო“ არარეგულირებად სუბიექტს წარმოადგენდა, რომელსაც დეპოზიტის მიღების უფლება კანონმდებლობით არ გააჩნდა და თუ მის მიერ მოზიდული თანხები ანაბრის (დეპოზიტის) სამართლებრივი შინაარსის მატარებელი იყო, ეს უკანონო სამეწარმეო საქმიანობა იქნებოდა.

6. შემაჯამებელი დასკვნა და რეკომენდაციები

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „საფინანსო კომპანია საქართველოსთან“ (ს/კ 206332191 და ს/კ 433101895) დაკავშირებული საკითხის შესასწავლად შექმნილმა მომხსენებელთა ჯგუფმა შეიმუშავა შემდეგი სახის რეკომენდაციები:


- I. მიეცეს რეკომენდაცია საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას (საქართველოს მთავრობა): (1) შექმნას შესაბამისი სამუშაო ჯგუფი სათანადო უწყებების ჩართულობით და მონაწილეობით (სავარაუდოდ და არა მხოლოდ ეკონომიკის, ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროები), რომელიც საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად ოპტიმალურ ვადებში უზრუნველყოფს შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ საქმიანობის შედეგად დაზარალებულების აღრიცხვას და თითოეულ დაზარალებულთა მიერ შეტანილი და მიუღებელი თანხის ოდენობის დადგენას; ასევე შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ საკუთრებაში არსებული და პირდაპირი და/ან არაპირდაპირი ფორმით დაკავშირებული ქონების მობილიზებას, ასეთი ქონების აღრიცხვას და აღწერას;
- II. საქართველოს მთავრობამ ოპტიმალურ ვადებში და შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოს შპს „საფინანსო კომპანია საქართველო“-ს დაზარალებულთათვის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მობილიზებული მატერიალური და არამატერიალური აქტივების ეფექტური რეალიზება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- III. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ეროვნული ბანკის კანონმდებლობის ფარგლებში, განახორციელოს 2012-დან 2016 წლების პერიოდში საფინანსო კომპანია საქართველოს მიმართ ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ქმედებების და ღონისძიებების ეფექტურობის, ასევე წარმოდგენილ დასკვნაში აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შესწავლა.
- IV. სამართალდამცავმა ორგანოებმა (საქართველოს მთავარი პროკურატურა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური) მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, გაანალიზონ იმ მოქმედებების და განხორციელებული ღონისძიებების ეფექტურობა, რომელთაც ადგილი ჰქონდა საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან წერილობითი მიმართვების საფუძველზე 2012, 2014, 2015 და 2016 წლებში (სულ ექვსი მიმართვა);

- V. საქართველოს მთავრობას და ყველა ზემოდასახელებულ უწყებებს
ეთხოვით პერიოდულად წარმოუდგინონ ინფორმაცია საქართველოს
პარლამენტის მომხსენებელთა ჯგუფს მათ მიერ განხორციელებული
ღონისძიებებისა და ქმედებების შესახებ.

გურამ მაჭარაშვილი (მთ. მომხსენებელი)



ირაკლი (დაჩი) ბერაია (მომხსენებელი)



გოგა გულორდავა (მომხსენებელი)



სალომე ზურაბიშვილი (მომხსენებელი)

